დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“
დირექტორის 2022 წლის 14 მარტის
N02-01-76 ბრძანებით
შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“
დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის
N213675 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „აისი“

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „აისი“ (შემდგომში - კოლეჯი) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს;

1.2. დოკუმენტის მიზანია:

1.2.1. შექმნას დაწესებულების ერთიანი ხარისხის მართვის პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

1.2.2. ხელი შეუწყოს ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნას და მუდმივ გაუმჯობესებას, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზებას და გარე შეფასების ხელშეწყობას.

1.3. კოლეჯში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

1.4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით:

1.4.1.**დაგეგმე** (Plan)- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების დაგეგმვას;

1.4.2. **განახორციელე** (Do)- დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;

1.4.3. **შეაფასე** (Check) - განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული შედეგების შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების

ანუ პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

1.4.4. **განავითარე** (Act)-შეფასების შედეგების საფუძვლეზე საჭირო ცვლილებების განხორციელება (გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება და დამტკიცება პროცესის დახვეწის მიზნით).

1.5.აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია კოლეჯში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

მუხლი 2 . ხარისხის უზრუნველყოფა

2.1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობსკოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

2.3.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარეშეფასებას.

ა) შიდა შეფასება -კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ბ) გარე შეფასება - ავტორიზაციისა პროცესში მიღებული შეფასებები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ასვე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

2.4.დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს:

2.4.1. საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების/წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას.

2.4.2. ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო

რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას.

2.5. კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას;

2.6. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენებას (ავტორიზაცია და სხვა), რაც გულისხმობს ხარისხის გარე შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებას მომდევნო გარე შეფასების უზრუნველყოფის პროცესისათვის მზადებაში.

2.7. ადმინისტრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას. ადამიანური რესურსების შეფასების მიზანია მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მოტივაციის გაზრდა. კოლეჯი უზრუნველყოფს მხარი დაუჭიროს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას (ტრენინგის ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა).

2.8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას. შეფასება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის შედეგების მიღწევების ანალიზს, პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

2.9. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. შეფასება ემსახურება პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, პროფესიულ სტუდენტებისა/მსმენელების და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი მხარისთვის.

2.10. პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების ფართო სპექტრის შემუშავებას, დანერგვას და მუდმივ გაუმჯობესებას. აღნიშნული ითვალისწინებს, როგორც მატერიალურ რესურსებს (ბიბლიოთეკა, სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა), ასევე, ადამიანურ მხარდაჭერას კონსულტანტებისა და სხვა

მრჩეველთა სახით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ფარგლებში უზრუნველყოფს რესურსების შეფასებაში დაინტერესებული პირების ჩართვას, შეფასების შედეგებს იყენებს შემგდომი გაუმჯობესებისთვის. უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაში ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების თანამშრომლების როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, კოლეჯი აქცენტს აკეთებს მათ კვალიფიკაციაზე და სამუშო გამოცდილებაზე.

მუხლი 3.საგანმანათლებლო პროგრამის/კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმები

3.1 იმისათვის, რომ კოლეჯმა მუდმივად იზრუნოს სწავლების და სხვა მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, აუცილებელია დანერგოს სხვადასხვა ტიპის კვლევები. კვლევების მიზანია სისტემატიურად ხდებოდეს როგორც კოლეჯის შიდა გამოწვევების იდენტიფიცირება, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენა. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

3.2 კოლეჯის შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კოლეჯის კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა.

3.3კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება კოლეჯს განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული პროფესიულ სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი; პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა;

3.4 საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით კვლევებს/გამოკითხვებს, გამოკითხვა არის პირველადი მონაცემების შეგროვების მეთოდი პოპულაციის წარმომადგენლობით ინდივიდებთან (რესპონდენტებთან) კომუნიკაციის შედეგად.

3.4.1. ხარისხის მართვის მენეჯერი და თანამშრომლები თავიანთი ფუნქცია მოვალეობების ფარგლებში ატარებენ კვლევებს. ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე განხილულ უნდა იქნას შედეგები და საჭიროებისამებს დაიგეგმოს განვითარების რეკომენდაციები/გზები, შეიქნას საჭიროების შესაბამისად განვითრების/შესაბამისობის გეგმები.

3.4.2. შესაძლოა დაწესებულებამ ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოიყენოს სხვის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები ან დაიქირავოს კვლევის განხორციელებისათვის მოწვეული ექსპერტები, ორგანიზაციები.

3.5.კვლევის მეთოდები და გამოკითხვის ჩატარების ეტაპები:

3.5.1. სხვადასხვა საჭიროებისათვის შესაძლოა განხორციელდეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები, როგორც მიზნობრივი მონაცემების შეგროვების საშუალებები.

3.5.2. შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტები პერიოდულად საჭიროებს მოდიფიკაციას. ამიტომ, ყოველი ახალი ეტაპის დაწყების წინ, საჭიროა მოხდეს წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით კითხვარის რევიზია. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ რომელიმე კითხვის ფორმულირება დასახვეწია, დასამატებელია ახალი კითხვები, ამოსაღებია რომელიმე კითხვა. კითხვარის რევიზიის პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სასწავლო პროცესის მენეჯერი/მენეჯერები, პროგრამის განმახორციელებელი პირები, დირექტორი, მოწვეული კონსულტანტები და სხვა.

3.5.3 კვლევის ადმინისტრირება-კვლევის ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე განისაზღვრება კვლევის ტიპების მიხედვით. კვლევის ანგარიშის მომზადება უნდა მოხდეს კვლევის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

3.5.4. ნებისმიერი სახის გამოკითხვა/შეფასება/კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობა;

ბ) სანდოობა;

გ) მოქნილობა;

დ) შინაარსობრივი სიმარტივე;

ე) მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

3.5.5.კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება შესაბამისი ანალიზი/დასკვნა, რომელზე დაყრდნობით შემუშავდება შესაბამისი განვითარების გეგმა/რეკომენდაციები.

3.5.6.კვლევის ჩატარების ჩატარების ეტაპებია:

1. კვლევის მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება;
2. სამიზნე ჯგუფის (პოპულაციის) განსაზღვრა;
3. განსაზღვრა იმისა, თუ რა სახის ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვებაა საჭირო;

4. კვლევ/გამოკითხვის ინსტრუმენტის შემუშავება;
5. შერჩევის ჩარჩოს, შენარჩევის ზომის და შერჩევის მეთოდის განსაზღვრა;
6. რესპონდენტ(ებ)ის შერჩევა;
7. მონაცემების შეგროვება;
8. შეგროვილი მონაცემების ანალიზი;
9. შედეგების გამოყენება/გაზიარება.

3.5.7. გამოკითხვისათვის დაინტერესებული პირი იყენებს კითხვარების ფორმებს (კითხვარების ფორმები არ მტკიცდება, კითხვარები დგება ყოველი კონკრეტული კვლევის საჭიროებების/ინტერესის შესაბამისად). შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუშაობის თუ სწავლების ხარისხის შეფასება პროცესზე დაკვირვების მეთოდით;

3.5.8. კვლევისთვის კითხვარების შევსების გარდა შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა მეთოდები: ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა, პირისპირ ინტერვიუ, ფორუმი, პროცესზე დაკვირვება.

3.5.9. ხარისხის მართვის ერთ-ერთი საშუალებაა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი უკუკავშირი, მათ შორის დაწესებულების ფეისბუქ-გვერდზე სხვადასხვა აქტივობების შეფასებები, კომენტარები, წერილები.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

3.5.11 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაწესებულების მატერიალური რესურსების, IT ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. ამ ნაწილში ხარისხის მართვის მონიტორინგს ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი,ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. აღნიშნული რესურსების შემოწმება ხდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე მონიტორინგი განხორციელდება დაფიქსირებული/აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაშიც;

3.5.12 კვლევების შედეგების საფუძველზე ერთობლივად თანამონაწილეობითი პრინციპით დგება კონკრეტული საჭიროებისათვის განვითარების/სამოქმედო გეგმა.

3.6.პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევა

3.6.1. სტუდენტის/მსმენელის ზოგადი კმაყოფილების კვლევა არის კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტებისგან/მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება მათ პირად

გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სასწავლო პროცესი, მოდულის შეფასება, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კოლეჯის ინფრასტუქტურა, მატერიალურ/ტექნიკური რესურსი, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. თითოეული ასპექტით სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების შეფასება დაეხმარება კოლეჯს გააუმჯობესოს სერვისების ხარისხი;

3.6.2. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ;

3.6.3. მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების მანძილზე მინიმუმ ერთხელ და პროგრამის დასრულებისას უკუკავშირის მისაღებად;

3.6.4. სტუდენტის/მსმენელის კვლევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ კოლეჯის ,,აისი“ სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების სტუდენტებს/მსმენელებს,რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში;

3.6.5. სტუდენტების/მსმენელის გამოკითხვა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად სრულფასოვნად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, რამდენად იქნა მიღწეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის მიზნები, კვლევის ფარგლებში სტუდენტები/მსმენელები აფასებენ კურსის მოცულობას, პროგრამის განმახორციელებელ პირებს, სწავლების ფორმებს და მეთოდებს, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, მოსალოდნელი სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობებს, სტუდენტის/მსმენელის შეფასება ეხმარება კოლეჯს სისტემატურად მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება და გამჯობესოს სწავლა- სწავლების/შეფასების ხარისხი;

3.6.6. სტუდენტების/მსმენელის კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამებზე სწავლების პერიოდში.

3.6.7. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის თითოეული პროგრამის სტუდენტთა მინიმუმ 60%;

3.6.8. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის თითოეული პროგრამის ყველა სტუდენტი/მსმენელი. სტუდენტები/მსმენელები ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;

3.6.9. სავალდებულოა სტუდენტები/მსმენელები ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა(გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც კვლევა არ არის ანონიმური) და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;

3.6.10. სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;

3.7. პროფესიული განათლების მასწავლებელთა /პროგრამის განმახორციელებელ პირთა გამოკითხვა:

3.7.1 პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა გამოკითხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც შეიძლება გულისხმობდეს:

ა)თვითშეფასების კვლევას;

ბ) საჭიროებათა კვლევას

გ)მოდულის შეფასებას;

დ)სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას;

ე)სასწავლო რესურსების შეფასებას;

ვ)რაიმე სხვა კვლევას საგანმანათლებლო პროცესისა თუ ხარისხის განვითარების საჭიროებისათვის.

3.7.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ;

3.7.3 სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება: დირექტორის მოადგილის სასწავლო-საწარმოო დარგში/ხარისხის მართვის მენეჯერს/სასწავლო პროცესის მენეჯერის/მენეჯერების მიერ ხორციელდება საკონტაქტო საათზე (თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობა, შეფასების პროცესი) დასწრება. საკონტაქტო საათზე დასწრება ხორციელდება თითოეული მოდულის ფარგლებში საჭიროების შესაბამისად. სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია მოდულის დასრულების მისი განმახორციელებლის კომენტარები/რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.

3.8. კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია:

3.8.1. წელიწადში ერთხელ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების გამოკითხვის ორგანიზებასა და ჩატარებას, საჭიროების შემთხვევაში, მასში მონაწილეობს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი. გამოკითხვის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა მათი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა.

3.8.2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 3 თვის არაუგვიანეს ერთი წლის შემდეგ;

3.8.3. კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ კოლეჯის ,,აისი“ კურსდამთავრებულებს;

3.8.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების,პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია ორი მთავარი მიზანი:

- შესწავლილი იქნას როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში;
- შესწავლილი იქნას სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა;

3.8.5. კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს შეიძლება წარმოადგენდეს: ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადება/გადამზადების სტუდენტების/მსმენელების შეფასება;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
- კოლეჯის ადამიანური რესურსის შეფასება;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების შეფასება;
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
- დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.
- პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრაში;

3.8.6. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის თითოეული პროგრამის კურსდამთავრებულთა მინიმუმ 70%;

3.8.7. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი)

3.8.8. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის საშუალებით, ან სატელეფონო ინტერვიუს ფორმით;

3.8.9. შემუშავებული კითხვარი კურსდამთავრებულს ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მიეცემა 3 დღე მის შესავსებად, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულები არიან როგორც ელექტრონულად, ასევე სატელეფონო საუბრის მეშვეობით;

3.8.10. კვლევაში გამოსაყენებელი კითხვარები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან;
3.8.11. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის თითოეული პროგრამის ყველა კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულები ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;
3.8.12. სავალდებულოა კურსდამთავრებული ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
3.8.13. კურსდამთავრებული უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;

3.9. შრომის ბაზრის კვლევა

3.9.1. წელიწადში ერთხელ (ან საჭიროებისამებრ უფრო ხშირად) პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ორგანიზებას უწევს და ატარებს შრომის ბაზრის კვლევას.

3.9.2. კვლევაში მონაწილეობენ: პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები, შრომის ბაზრის ექსპერტები, HR სპეციალისტები, სექტორული ასოციაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

3.9.3. კვლევის ძირითადი მიზნებია

- შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების (პროფესიები, უნარები, კომპეტენციები) შესწავლა;
- კოლეჯის პროგრამების შესაბამისობის ანალიზი დამსაქმებელთა რეალურ მოლოდინებთან.

3.9.4. კვლევის ამოცანები (ძირითადი მიმართულებები, ბაზრის ადაპტაციის უზრუნველყოფა):

- მოთხოვნადი პროფესიების, უნარებისა და კომპეტენციების იდენტიფიცირება რეგიონულ/ეროვნულ დონეზე;
- დასაქმების ტენდენციების, უმუშევრობის მიზეზებისა და სექტორული ცვლილებების ანალიზი;
- დამსაქმებელთა შეფასება კურსდამთავრებულთა მომზადების დონის შესახებ;
- რეგიონული თავისებურებების გამოვლენა;
- არსებული პროგრამების ძლიერი/სუსტი მხარეების განსაზღვრა ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში;
- პოტენციური თანამშრომლობის/დუალური პროგრამების შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- ტექნოლოგიური, ეკონომიკური ცვლილებების გავლენა პროფესიებზე;

- პროფორიენტაციის ეფექტურობის შეფასება ბაზრის რეალობასთან შესაბამისობაში.

3.9.5. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და მათი რაოდენობა განისაზღვრება ისე,რომ კვლევა იყოს სანდო და რელევანტური.
3.9.6.კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი).
3.9.7.კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის საშუალებით, ან სატელეფონო ინტერვიუს ფორმით; ან პირისპირი ინტერიუს ფორმით;
3.9.8.შემუშავებული კითხვარი რესპონდეტს ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მიეცემა 3 დღე მის შესავსებად, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულები არიან როგორც ელექტრონულად, ასევე სატელეფონო საუბრის მეშვეობით;
3.9.9.კვლევაში გამოსაყენებელი კითხვარები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან.
3.9.10.სავალდებულოა რესპონდენტი ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
3.9.11. რესპონდენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში.

3.10. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციაც, რაც არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მასზე ხარისხის მართვის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

3.11. საქმინობის ადმინისტრირების შეფასებისაათვის ხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა;

3.11.1.ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის მიზანია კოლეჯის ადმინისტრაციცული პერსონალისგან მისი საქმიანობის შესახებ უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მართვის სტილი, ანაზღაურება, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, პროცედურები. კოლეჯის განვითარებისთვის მნიშნველოვანია სხვადასხვა ასპექტში შეაფასოს ორგანიზაციის მართვის პროცესები, მოახდინოს განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

3.11.2. ადმინისტრაციის გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ (დამატებით საჭიროების შემთხვევაში) ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

3.12. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ ინდიკატორებს.მონიტორინგი არის პროცესი, რომელიც იძლევა ინფორმაციას კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის დაგეგმილი აქტივობის განხორციელების

შესახებ.(აღნიშნული მონიტორინგის და შეფასების განხორციელება რეგულირდება დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ შესაბამისად)

3.13. ძირითადად კვლევის ადმინისტრირებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებს თავიანთი სამუშაო აღწერილობის კონტექსტში. საბოლოოდ ყველა კვლევის ანგარიში განთავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.collegeaisi.ge.

მუხლი 4. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია

4.1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.ვერიფიკაციის მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის მართვის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და ვერიფიკაციის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციების პროექტებს(საჭიროების გათვალისწინებით) დასამტკიცებლად. დოკუმენტების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის მართვის მენეჯერი, ან დირექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი;

4.2. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს ცვლილება მოდულში/დარგში/განხორციელების მიდგომებში, დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება მიღებული, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს დადებითი შეფასება მიღებული და სხვა. ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპითაც განხორციელდეს, მაგალითად ერთიდა იმავე პროგრამის ფარგლებში შექმნილი

მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 15-20% პროცენტი და სხვა;

4.3. შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები, ხოლო პროცესის ვერიფიკაციას ხარისხის მართვის მენეჯერი დარგის წარმომადგენელთან ერთად;

4.4. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას;

4.5. ვერიფიკაციით განისაზღვრება, შეესაბამება თუ არა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულება იმ მიზანს, რომლისთვისაც ის შეიქმნა და აკმაყოფილებს თუ ვერიფიკაციის კითხვარში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცედურები არის დაცული, თანმიმდევრული და გამჭვირვალე, ხოლო მტკიცებულებები სათნადოდაა აღრიცხული და შეფასება ობიექტურია;

4.6. ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს დოკუმენტები უნდა მიეწოდოს სრულად, რათა წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გულდასმით გაეცნონ მათ. თითოეულმა მონაწილემ უნდა შევასოს ვერიფიკაციის კითხვარი აღნიშნული კითხვარი გამოყენებული იქნება, როგორც ინდივიდუალური კომენტარების საფუძველზე საერთო მოსაზრებების ფორმირებისა და გაზიარების საშუალება. შესაძლოა ვერიფიკატორმა არსებულ ჩამონათვალს თავისი კრიტერიუმიც დაამატოს;

4.7. ვერიფიკატორმა/ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა:

შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;

საჭიროების შემთხვევაში შეხვდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს/მენეჯერებს, თანამშრომლებს და სხვა ჩართულ მხარეებს, განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები;

უნდა შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე;

4.8. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის ყველა წევრს მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობა მიეცეს, რათა რომელიმე პირი არ დომინირებდეს;

4.9. განსახილველ საკითხებზე შეთანხმების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სრულად იქნას გამოყენებული ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა მონაწილის კომპეტენცია და შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ყველა კრიტერიუმის საფუძველზე კომპლექსურად და ობიექტურად განხორციელდეს. ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შევსებული ვერიფიკაციის კითხვარის შედეგები შეჯამდება. თითოეული დაასახელებს იმ საკითხ(ებ)ს, რომლებიც გარკვევას და განხილვას

საჭიროებენ;

4.10. ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს თითოეულ საკითხს, თანხმდება ერთიან პოზიციაზე და დასკვნაში ხდება შეჯერებული აზრის დაფიქსირება;

4.11. ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები ხელმისაწვდომია როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის გასაანალიზებლად, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის;

4.12. შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერს უნდა გადასცეს შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები ;

4.13. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების/შენიშვნების/რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელი ჯგუფისათვის/სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის, მათი შემდგომი განვითრებისათვის;

4.14. ვერიფიკაციის პროცესის დასრულების შემდგომ დგება ვერიფიკაციის ანგარიში;

4.15. განმეორებითი ვერიფიკაცია საჭიროა, როდესაც ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა ან არსებულ შეფასების ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა, ან შეიცვალა განმახორციელებელი პირი, ან რაიმე სხვა გარემოებაა გამოკვეთილი პროფესიული სტუდენტების/მოდულის განმახორციელებელი პირების კვლევის შედეგებით.

4.16. შეფასების ინსტრუმენტების ცვლილების ინიცირების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს შეფასების პროცესის ანალიზის შედეგები.

4.17. შეფასების ინსტრუმენტის გადახედვა შესაძლებელია ინიცირების საფუძველზე. ინიცირების უფლება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს(ასეთის არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესის მენეჯერს/მენეჯერებს, პროგრამის განმახორციელებელ პირს.

4.18. ცვლილებების განხორციელების დროს შეფასების ინსტრუმენტებმა თავიდან უნდა გაიაროს ვალიდაცია.

4.19. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შიდა ვერიფიკატორებმა (შემმოწმებლებმა) არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ შეფასების ინსტრუმენტის შექმნაში, ვალიდაციაში და შეფასების გადაწყვეტილებეში, რომელშიც ისინი თავად იყვნენ ჩართულები. მათ ასევე უნდა იზრუნონ შეფასებების ხარისხზე და არ უნდა დაუშვან, რომ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არმოწონება). მათ ასევე უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რესურსი და ორგანიზაციის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულონ.

4.20. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა

იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული პროფესიულ სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი; ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დირექტორს;

4.21. ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, რგორც დაინტერესებულ პროფესიულ მასწავლებლებას, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა.

4.22. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგადგანხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

4.23. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, თუ ფართო მასშტაბის საკითხს ეხება. თუ ინდივიდუალურ მასწავლებელს/მოდულს ეხება, შესაძლოა ცალკე გაიწეროს. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩატარება.

4.24. ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ვერიფიკაციის პროცესი შეიცვალოს და გაჩნდეს ახალი რეგულაციები, რაც დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 5 . ხარისხის განვითარების მექანიზმების შესრულების ანგარიშგება

5.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას.

5.2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხოციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარედგინება დირექტორს, ანგარიშის შედეგების გაცნობა განხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან.

5.3. კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/პირი ახორციელებს რეაგირებას.

5.4. კვლევის შედეგების გავრცელება და ინტეგრაცია:

5.5.1.კვლევის შედეგებზე რეაგირების გავრცელება ხდება კვლევაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან. კვლევის შედეგებზე რეაგირების გავრცელება ხელს უწყობს რესპონდენტების კვლევებში მონაწილეობის მოტივაციისა და ხარისხის ამაღლებას.

5.5.2.კვლევის შედეგების გამოყენება ხდება კოლეჯის საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პროცესისთვის.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

6.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს(ცვლილებებს მექანიზმში) ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.

6.2. აღნიშნულ წესში ცვლილების ინიცირების უფლება აქვს დირექტორს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, და ხარისხის მართვის მენეჯერს.